№ 206 მთავრობის მოამგე ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველო რესპუბლიკა

ვასი 10 მან. შაგათი, სექტემბრის 11 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამკვლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—52

სამხედრო სკოლაში გრძელდება ახალგაზრდათა მიღება

მიიღებიან აგრეთვე 1 ხარისხის უფლებებით რომლებიც კი გადასული არიან მე-7-დე კლასში. 2668 2—2

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამა წლის 1 სექტემბრიდან ქ. სენაკში

ხსნის ოთხკლასიან უფასო სრულუფლებიან სახელოსნო სასწავლებელს ორი განყოფილებით

1) საზეინკლო და სამექანიკო,
2) სადურგლო და სახარატო.

თხოვნები მიიღება 1—20 სექტემბრამდე უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის სწავლა დამთავრებულთაგან სამაზრო ერობის გამგეობის კანცელარიაში.

საუკეთესო მოწაფეებს (რიცხვით 20-ს) დაენიშნებათ სტიპენდია თვეში ექვსასი მანეთი.

მიმდინარე სამოსწავლო წელს გაიხსნება სახელოსნო სასწავლებლის მხოლოდ პირველი კლასი. 2620 3—3

ჩაქვის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მას აქვს გამოსატანი საკუთარი ტყიდან 500 კუბ. საჟ. გამხმარი შარშანდელი მოჭრილი შეშა. რის შესახებ ამა წლის 12 სექტემბერს დღის 12 საათზე დანიშნულია ხელ-მეორედ სად. ჩაქვში სამმართველოს ბინაზე

საჯარო შეჯიბრება

ცნობების მიღება შეიძლება ტფილისში მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. დილის 9—1 საათამდე. და სად. ჩაქვში მამულის სამმართველოს კანცელარიაში ყოველ დღე 2577

4—4

გოლის ვაშთა გიმნაზია

მასწავლებელთა და მოწაფეთა საყურადღებოთ ამით აცხადებს, რომ გიმნაზიაში განმეორებითი გამოცდები და სწავლა დაიწყება

პირველ ოქტომბრიდან.

2629 3—3 დირექტორი ამბროსი შებურიშვილი.

ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 23 ამა ენკენისთვეს, დღით ხუთშაბათს, 12 საათზე, ამავე ბანკის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩა № 5, ტელეფ. № 5-26)

გაიყიდება შეჯიბრებით

8 ცალი ნოხი სხვა და სხვა ზომისა, ოქროს ნივთები ძვირფასი თვლებით და 116 ფ. ციკორი.

2681 1—1

წლიური კრება

ქართ. სამუსიკო საზოგადოებისა.

დანიშნულია 19 სექტემბერს დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქვორუმი არ შესდგა ერთ საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად.

886 2—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა

30 აგვისტო, 1920 წ., № 323.-ა

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აგვისტოს 26-ის დადგენილების ძალით დაინიშნა ნაოლალევის უბნის გამომძიებელი სერგი იზმაილის ძე მესხი ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის სექტემბრის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი ნ. არხენიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

6 სექტემბერი, 1920 წ., 323.

მიეცეს ორი კვირის შვებულება იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსს ივანე სიმონის ძე ბერიაშვილს ამა წლის სექტემბრის 6-დან, ხოლო სამინისტროს კანცელარიის უფროსის მოვალეობათა აღსრულება დაევალოს იმავე რიცხვიდან სამინისტროში წარმოგზავნილ ტფილისის ოლქის სასამართლო პროკურორის ამხანაგს დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძეს.

დეპარტამენტის დირექტორი ვ. ფორდანია.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

18 აგვისტო, 1920 წ., № 226.

გადაყვანილ იქმნას: ქუთაისის ხაზინის 1 ლი ხარისხის ბუხჰალტერი პეტრე ალექსანდრეს ძე ბელოუსოვი ბათომის ხაზინაში იმავე თანამდებობაზედ ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 227.

დათხოვნილ იქმნას: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ტფილისის ხაზინის მოანგარიშე მოხელე ლიდია ვილგელმის ასული ერგარტი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

21 აგვისტო, 1920 წ., № 229.

დანიშნულ იქმნას: საბიუჯეტო სახაზინო ნაწილში რეგისტრატორის თანამდებობაზედ ტერეზია ნიკოლოზის ასული მაჭავარიანი ამა წლის აგვისტოს 16-დან.

№ 230.

დანიშნულ იქმნას: ზესტაფონის ხაზინაში მე-2-რე ხარისხის ბუხჰალტრის თანამდებობაზედ ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე ამა წლის აგვისტოს 21-დან.

№ 232.

გაუქმებულ იქმნას: ჩემი ამა წლის 16 აგვისტ. № 218 ბრძანება ტფილისის ხაზინის რეგისტრატორ ვალენტინა პეტრეს ასული არონიშიძის დათხოვნის შესახებ.

№ 233.

დანიშნულ იქმნას: სოხუმის ხაზინაში რეგისტრატორის თანამდებობაზედ მარიამ ივანეს ასული ალანია ამა წლის აგვისტ. 1-დან.

№ 234.

თავისუფლება მიეცეს: ერთი თვის ვადით, ჯამაგირის შენახვით, საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის მოანგარიშე მოხელეს თამარ მიხეილის ასულს სარაჯიშვილს ამა წლის აგვისტოს 23-დან.

№ 235.

თავისუფლება მიეცეს: ოცდა რვა დღის ვადით, ჯამაგირის შენახვით ტფილისის ხაზინის I ხარ. ბუხჰალტერს ილია ათანასეს ძე ივანოვს ამა წლის აგვისტოს 21-დან.

ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსი ა. კანდელაკი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

1 ივლისი, 1920 წ., № 116.

დანიშნულ იქმნეს: ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში რევიზორის თანამდებობაზედ ილია ალექსანდრეს ძე ოსიტაშვილი ამა წლის 1 ივლისიდან.

13 აგვისტო 1920 წ., № 201.

გადაყვანილ იქმნეს: ზესტაფონის ხაზინის ხაზინადარი ივანე სტეფანეს ძე ღვინჯილია ბათომის ხაზინაში იმავე თანამდებობაზედ ამა წლის ივლისის 8-დან.

17 აგვისტო, 1920 წ., № 219.

დანიშნულ იქმნას: შულავრის ხაზინის ხაზინადარი სერაპიონ გაბრიელის ძე ჭირაქაძე იმავე თანამდებობაზედ ზესტაფონის ხაზინაში ამა წლის აგვისტოს 21-დან.

№ 220.

დანიშნულ იქმნეს: ფოთის ხაზინის 1-ლი ხარისხის მოლარე გიორგი ბესარიონის ძე ნადირაძე შულავრის ხაზინის ხაზინადრათ, ამა წლის აგვისტოს 21-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ს. ავალიანი.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

8 სექტემბერი, 1920 წ. № 55.

დათხოვილ ა: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი ვარლამ გიორგის ძე ჭირაქაძე თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 1 სექტემბრიდან.

ინიშება: მოქალაქე სერგო ანტონის ძე ბახტაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ ამა წლის 15 აგვისტოდან.

მინისტრის მოადგილე ჰ. ჰინინაძე.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

გაგრის ჭალაჭის მილიციისა.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი. თვითეულს.	თვიური ჯამაგირი. ყველას.	ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან. ივნისის 1-მდე.
1	მილიციის უფროსი	1	2500	2500	12500
2	საქმის მწარმოებელი	1	1800	1800	9000
3	უფროსი მილიციელი	1	1600	1600	8000
4	უმცროსი მილიციელი	12	1500	18000	90000
5	გათბობა-განათება, საკანცელარიო და სხვა ხარჯი	—	—	1500	7500
	სულ	15	—	25400	127000

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ოფიციალური განყოფილება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში მოხდა ახალციხის სამაზრო ერობის ყრილობა. ყრილობას 22 ხმოსანი დაესწრო. ყრილობაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, მინისტრმა აღნიშნა, რომ მთავრობა ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ახალციხის მხარეს, რის დამადასტურებელი არის ახალციხის ერობის შუამდგომლობის დაკმაყოფილება სესხის შესახებო. ძველი მესხეთი შედარებით საქართველოს კუთხეებთან, როგორც კულტურულ ისე ადმინისტრაციის მხრივ ჩამორჩა. აქ ადგილი ჰქონდა ანარქიულ გამოსვლებს და ამ ჟამად მოსყიდული აგენტები საქართველოს წინააღმდეგ მალულ მუშაობას აწარმოებენ.

მაგრამ ეს ვაებატონები ცდებიან თუ ფიქრობენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არაა მტკიცე. რესპუბლიკა მტკიცე საფუძველზეა აგებული, რასაც მოწმობს მისი ორი წლის დამოუკიდებელი არსებობა და

აგრეთვე საქართველოს შეიარაღებულ ძალების მიერ ბათომის დაკავება და ჩამოშვებულინგლისის დროშის მაგივრ საქართველოს დროშის აფრიალება. ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტებმა, უნდა დაიმახსოვრონ, რომ ოსმალეთი განადგურებულია. ის დაყოფილია ნაწილებად და გაერთიანებისათვის მას ძალა არ ყოფნის. ერობის მოღვაწეებმა უნდა აუხსნან ხალხს საქმეთა ვითარება და ისიც, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია რესპუბლიკის საფუძველთა შერყევა. ამ მოკლე ხანში ერობას გადაეცემა ადმინისტრაციის საქმე და სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ ერობა ადმინისტრაციის საქმეს სათანადო სიმაღლეზე დააყენებს. მინისტრმა თავის სიტყვა მისალმებით და სურვილის გამოთქმით დაასრულა. ყრილობამ აირჩია ოთხი მომრიგებელი მოსამართლე და საერობო გამგეობის მეხუთე წევრად მაღლაკელიძე. ყრილობამ დაავალა გამგეობას შეუდგეს ძველ შკოლათა აღდგენას იმ ვარაუდით, რომ ოქტომბრის 1 სკოლებში მაცადინეობა დაიწყოს. მასწავლებელთა კადრის გასამრავლებლად გადაწყდა დაარსდეს სამასწავლებლო სემინარიასთან ერთ წლიანი სამასწავლებლო კურსები. ამასთანავე გადასწყვიტეს გახსნან მიმდინარე წელს უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლები. ასეთი სკოლა უნდა გაიხსნას უდესსა და აწყურში. ბოლოს დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობასთან რათა მიღებულ იქნას ღონისძიებანი ახალციხე-არდაგანის რკინის გზის გასაყვანად.

შრომის სამინისტროში

განმარტება.

შრომის სამინისტრომ ბათომის მუშათა მაგიდას განუმარტა, რომ 1. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ იაფი სურსათით მიუხედავათ ჯამაგირისა, 2. კერძო და საზოგადოებრივ დაწესებულების მოსამსახურენი სარგებლობენ სურსათით თუ ღებულობენ თვეში 15 ათას მანეთზე ნაკლებს, 3. სურსათით სარგებლობს საბჭოს თავმჯდომარე, 4. სოფლისა და ქალაქის მღვდლებს იაფი სურსათი არ მიეცემათ. მასწავლებლებს და მილიციის მოსამსახურეთ ისევე მიეცემათ სურსათი, როგორც სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურეთ, 5. ქალაქისა და სახელმწიფო დაწესებულებათა აქიმები იმ შემთხვევაში ისარგებლებენ ამ უფლებით თუ კერძო პრაქტიკა არა აქვთ, 6. დღიურათ და დროებით მომუშავეთ სურსათი არ მიეცემათ, 7. სურსათი მიეცემათ საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთაც, 8. კოოპერატივები და ურთიერთ ნდობის საზოგადოებები საზოგადოებრივ დაწესებულებად ითვლება.

სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის

სექტემბრის 8 რუსეთსა და საქართველოს შორის დასადებ სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად ფინანსთა სამინისტროს საბჭოს სასწრაფო სხდომა შესდგა. სხდომას დაესწრენ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი, საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, სამინისტროების, სახელმწიფო ბანკის, საერობო და საქალაქო თვითმართველობათა და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლ. ავალიანმა სხდომას საბჭოთა რუსეთში გერ. მახარაძეს მეთაურობით სპეციალურ მისიის გაგზავნის შესახებ გამოტანილი მთავრობის დადგენილება გააცნო. მისიასთან იქნება ეკონომიური განყოფილება კანდელაკის ხელმძღვანელობით. ამ განყოფილებას სპეციალურად რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება ევალება. სწორედ ამ ხელშეკრულების პროექტი უნდა განიხილოს დღევანდელმა თათბირმა. პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა დ. აბხაზმა და აღნიშნა საქართველო-რუსეთს შორის დასადებ ხელშეკრულების ეკონომიური პერსპექტივები. ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა ამ ორ რესპუბლიკის ეკონომიურ მიმართულებათა სხვა და სხვაობა, რომელიც ართულებს სავაჭრო ხელშეკრულებათა დებულების მნიშვნელობას. ამ მოსაზრებით იძულებული ვართ, სთქვა მომხსენებელმა ანგარიში გაუწიოთ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების დროს ამ ორ სახელმწიფოს მიმართულებათა სხვა და სხვაობასო. რაც შეეხება პროექტის მეორე ნაწილს ე. ი. საბაჟოს სატრანზიტოს და სხვათა შესახებ, პროექტი შედგენილია საერთაშორისო უფლების ჩვეულებრივ ნორმის მიხედვით და ეჭვი არაა, დიდ კამათს არ გამოიწვევს. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. სავაჭრო ხელშეკრულების პირველ ნაწილს საყურადღებო კრიტიკა გაუკეთა იუსტიციის მინისტრმა არსენიძემ. არსენიძის აზრი გაიზიარა მისიის მეთაურმა მახარაძემ და მისიის ეკონომიურ განყოფილების უფროსმა კანდელაკმა. იუსტიციის მინისტრმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების საერთო ნაწილში აღნიშნულია, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოების ქვეშევრდომთ მოპირდაპირე მხარის ტერიტორიაზე, ისე როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, პიროვნული და ქონებრივი ხელშეუხლებლობის უფლება ეძლევათო. მაგრამ რას მისცემს ეს მუხლი რუსეთში მცხოვრებ ქართველებს, კითხულობს ორატორი. ჩვენი მოქალაქე რომელიც თავის სამშობლოში პიროვნული და ქონებრივი ხელშეუხლებლობის უფლებით სარგებლობს და რესპუბლიკის კანონებით არის უზრუნველყოფილი, მას შემდეგ, რაც იგი საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე გადავა ყველა ამ უფლებას კარგავს, ვინაიდან რუსეთში ბოლშევიკების მიერ პიროვნება სრულიად დამონავებულია და ქონებრივი უფლებანი კი გაუქმებული. სრულიად სხვა მდგომარეობაში ჩავარდება რუსეთის მოქალაქე რომელიც საქართველოში დასახლდება. მაშასადამე ეს ხელშეკრულება რუსეთს დიდ უპირატესობას ანიჭებს, ქართველები კი კარგავენ ყოველ გვარ უფლებას, და სამაგიეროთ არაფერს არ იძენენ. ამიტომ საბჭოთა რუსეთთან საერთაშორისო უფლებაზე დაყრდნობილ ტრადიციებით ხელშეკრულების დადება არ არის ჩვენთვინ მიზანშეწონილი. საჭიროა ახალი გზების ძიება და ამ სავაჭრო ხელშეკრულებაში ახალი შინაარსის ჩადება. საკითხის ყოველ მხრივ გარჩევის შემდეგ ფინანსთა მინისტრის საბჭოს თავმჯდომარემ ექვსი შემდეგი ძირითადი დებულება წამოაყენა: 1) ვაჭრობა და საქონლის გაცვლა-გამოცვლა ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და კერძო პირების შორის ყოველთვის მთავრობის ნებართვით უნდა ხდებოდეს 2) ვაჭრობის საფუძველს შეადგენს საქონლის საქონელზე ან ოქროზე გადაცვლა, 3) სატრანსპორტო უფლება, 4) ქართველთა ქვეშევრდომების მოძრავი და უძრავი ქონება რუსეთში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს. ქონების ჩამორთმევა შესაძლებელია სამართლიან ჯილდოს მიცემით, 5) რუსეთის ქვეშევრდომნი იმავე უფლებებით სარგებლობენ, რა უფლებითაც რუსეთში სარგებლობენ ქართველები. სავაჭრო ხელშეკრულების პროექტის ნამდვილ დებულებებთან შესათანხმებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ტ. აბხაზი, ა. ასათიანი, ი. ზურაბიშვილი, და ა. კანდელაკი. კომისიამ თავისი მუშაობა სექტემბრის 13 სათვის უნდა დაასრულოს.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ლორდ ლონგის განცხადება.

სამინისტროს პირველმა ლორდმა ლონგმა თემთა პალატაში შემდეგი განცხადება გააკეთა: მე მეკითხებიან, ვის ინტერესებს იცავს შავ ზღვაში და ყირიმში ინგლისის სამხედრო გემები, მას შემდეგ რაც მთავრობამ განაცხადა: ჩვენ ვიხსნით თავიდან ყოველგვარ პასუხის მგებლობას გენერალ ვრანგელის მოქმედებაზეო. ამ კითხვაზე მე გიპასუხებთ: ეს ინტერესები შესატყვისია იმ ინტერესებისა, რომლებიც გვაქვს ჩვენ ქვეყნის ყველა ნაწილში, სადაც კი საჭიროა სავაჭრო გზების და ვაჭრობის თავისუფლების დაცვა. გარდა ამისა, ყირიმში ინგლისს განსაკუთრებული ინტერესები აქვს, რაც რუსეთის ლტოლვილებზე ზრუნვაში გამოიხატება. ეს ლტოლვილები იმყოფებიან ეგვიპტაში, ლემნოსში და სხვაგან და ამ ჟამად თანდათან ბრუნდებიან რუსეთში.

„ტაიმსი“ აქვეყნებს ინგლისსა და ეგვიპტის შორის დადებულ შეთანხმების ტექსტს. დიდი ბრიტანეთი აღიარებს ეგვიპტის დამოუკიდებულობას და უზრუნველ ყოფს მას გარეშე მტრის თავდასხმისაგან. თავის მხრით ეგვიპტე აღიარებს ინგლისის უპირატესობას ნილოსის ველზე. ინგლისი სტოვებს თავის გარნიზონებს სუეცის არხთან ახლო მდებარე ადგილებში. ეგვიპტეს უფლება ეძლევა იყოლიოს საზღვარ გარედ თავისი წარმომადგენლები. ტექსტი შეთანხმებისა დასამტკიცებლად თემთა პალატას წარედგინა.

რუსეთ-პოლონეთის საკითხი.

„ევენინგ შტანდარდი“ აღნიშნავს: რუსეთ პოლონეთის მოლაპარაკების საკითხი მეორე ხარისხოვან საკითხად გახდა. ზავის საკითხი ბრძოლის ველზე წყდება და არა კონფერენციებზე. გაზეთის აზრით პოლონეთის საზღვრებზე პოლშევიკებმა დამარცხება იგემეს.

სანიტარული მდგომარეობა რუსეთში.

ჯანმრთელობის უწყების სახალხო კომისარმა რკინის გზის მოსამსახურეთა კონფერენციაზე რუსეთის სანიტარულ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა. მომხსენებელმა აღნიშნა რომ გადამდებ სენთა ტალღა საბჭოთა რუსეთში ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადიოდაო.

საჰაერო მიმოსვლა.

გაიხსნა საჰაერო საერთაშორისო მიმოსვლა. აეროპლანები გერმანიის, შვეიცის, გოლონდიის და ინგლისის ტერიტორიებს გადივლიან ჰაერით საფოსტო და სამგზავრო მიმოსვლაა მოწყობილი; კოპენჰაგენსა, გამბურგსა, ბერლინსა, ამსტერდამსა და ლონდონს შუა.

ედუარდ-როპი ბოლშევიკების შესახებ.

24 აგვისტოს. „ტაიმსის“ ბერლინში მყოფ კორესპონდენტმა ინახულა პეტროგრადიდან დაბრუნებული ედუარდ-როპი, რომელმაც განაცხადა: საკუთარმა დაკვირვებამ დამარწმუნა რომ ბოლშევიზმი სრულებით არ არის რუსის ხალხის ეროვნული მოძრაობა. რუსის ხალხის უდიდესი ნაწილი უნებო მასსაა, რომელზედაც ყველას შეუძლია იბატონოს. არსებობს მართლაც თავდადებულ კომუნისტთა პატარა ჯგუფი, რომელსაც ეს ბატონობის ჯოხი უკავია. ამ კომუნისტთა შორის თვით რუსები მცირე რიცხვს შეადგენენ. უმთავრესად კი ამ ჯგუფის შემადგენლობა ინტერნაციონალურია.

საერთო ამნისტია.

„ტანი“ იუწყება: თანახმად კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებისა ახალ კომიტეტს საერთო ამნისტია გამოუცხადებია: ამნისტია არ ვრცელდება მხოლოდ მუსტაფა ქემალზე და მის ახლო თანამშრომლებზე.

(გაზეთებიდან)

კრასინის განცხადება.

გაზეთ „დეილი მეილის“ კორრესპონდენტის გადმოცემით, კრასინს შემდეგი განუცხადებია საბჭოთა რუსეთის და ანტანტას დამოკიდებულების შესახებ.

„საბჭოთა რუსეთი არ მოითმენს უცხო სახელმწიფოების ჩარევას იმ საკითხში, რომელიც ეხება რუსეთის ყოფილ იმპერიის ადგილებს. რაც შეეხება კავკასიას, კრასინმა სთქვა, რომ ეს ადგილიც ყოფილ რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა და უეჭველია მისი საკითხიც ისე გადასწყდება, როგორც სხვა ადგილებიო“.

ტერორის გაძლიერება.

ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა რუსეთში „ჩრეზვიჩაიკებმა“ თავისი ტერორი მეტად გააძლიერეს. საბჭოთა ხელისუფალთა რწმენით მხოლოდ გაძლიერებული ტეროროი დაიცავს მათ ყოველ განსაცდელისგან. რევოლიციურ ტრიბუნალებმა სიკვდილით დასჯა გაახშირეს. მაგრამ ამასთანავე საბჭოთა მთავრობა გრძნობს, რომ მისი მდგომარეობა კრიტიკულია, რადგან მის წინააღმდეგ მთელი ევროპის ბურჟუაზიაა დარაზმული.

ენვერ ფაშა.

ტფილისში მიღებულ ცნობების თანახმად ენვერ ფაშა ამ რამდენიმე დღის წინად ჩასულა ბაქოში. მისი ბაქოში ჩასვლა დაკავშირებული ყოფილა აღმოსავლეთ ხალხის ყრილობის მოწვევასთან. ენვერ ფაშას ამ ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს.

გენ. ვრანგელი და მარშალი ჟოფრი

მარშალ ჟოფრს ბუქარესტში ყოფნის დროს გენერალ ვრანგელმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „სამხრეთ რუსეთის არმიის მთავარ სარდალი გენერალი ვრანგელი სალამს უძღვნის სახელოვან მარშალ ჟოფრს-მარნის გმირს“.

ახალი წიგნი სომხეთზე.

გაზეთ „ნორ აშხატავორის“ გადმოცემით პარიზში ინგლისურ და ფრანგულ ენაზე გამოუციათ წიგნი სომხეთის გაჟლეტის ისტორიის შესახებ. წიგნში მოთავსებულია ყველა საიდუმლო მიწერ-მოწერა თალაათ-ბეის, ბეადინ ბაკირის და სხვების ბრძანებები, რომელნიც კი ეხებოდნენ სომხეთის ხალხის გაჟლეტას.

ჩინეთი და სომხეთი.

საჩვარ-გარეთის სომხური პრესა იტყობინება, რომ შორეულ აღმოსავლეთში სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი ძამოევი სომხეთის მთავრობის სახელით ჩინეთის წინაშე შუამდგომლობს, რომ მანჟურიიდან სომხეთში გამოგზავნილი იყო 100.000 ჩინელი.

წითელ პეტროგრადში.

პეტროგრადიდან ჩამოსულები, პეტროგრადის სურათს ასე აგვიწერავენ: საბჭოთა რუსეთის წითელ პეტროგრადში ყველაზე კარგად სცხოვრობენ მსახიობნი და კომისრები. განსაკუთრებით დიდ მფარველობას უწევენ ბალშევიკები ბალეტის მსახიობთ. თითო მსახიობს თვეში, სურსათ-სანოვაგეს, პურს აძლევენ ერთ ფუთს, შაქარს—ექვს გირვანქას. ამას გარდა აუარებელ კონცერტებს, შოკოლადს და სხვა ტკბილეულს კიდევ განუსაზღვრელად. სხვა მცხოვრებნი კი, განსაკუთრებით, ვინც ბურჟუაზიის კატეგორიაში არიან მოყოლილნი, საშინელ გაჭირვებას განიცდიან და ყოველი მათგანი მზად არის გამოიქცეს პეტროგრადიდან და ბოლშევიკების „სამოთხეს“ მალე მოშორდეს.

ახალი ამბები

◆ სპეკულიაციასთან ბრძოლა. ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო უფლებების მინიჭება მოსთხოვა სპეკულიაციასთან საბრძოლველად. ქალაქის თვითმართველობა დაპატიმრებისა და ადმინისტრატიულ წესით დასჯის უფლებას თხოულობს.

◆ საფუთო გადასახადი. საერთაშორისო ტარიფის ზედმეტ გადიდების გამო, ქალაქთა კავშირმა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა საფუთო გადასახადის გადიდების შესახებ. ამ შუამდგომლობაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქალაქთა კავშირს უპასუხა, რომ სათანადო დეკრეტით საფუთო გადასახადის გადიდება აკრძალული არისო. ქალაქთა კავშირი მომარაგების სამინისტროსთან, მუშათა მაგიდისათვის საჭირო შეშის მოტანის შესახებ ხელშეკრულების დადებას შეუდგა. ქალაქთა კავშირი ვალდებულია ოქტომბრის 15-დან აპრილის 15 მდე მოაწოდოს მუშათა მაგიდას 3000 კუბ. საჟენი შეშა.

◆ დელეგაციის შესახებ. ცენტრალურ კომისიამ გადასწყვიტა დაახლოვებით გააცნოს ევროპის სოციალისტთა დელეგაციას რეს პუბლიკის ცენტრები. დელეგაცია რა ადგილებს რომელი რიცხვში დაათვალიერებს ეს ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ კეროსინი მცხოვრებთათვის. სათბობ მასალის განმანაწილებელმა ბიურომ შეიმუშავა ნორმა ტფილისის მცხოვრებთა შორის კეროსინის განაწილებისა. სასურსათო განყოფილებას ყოველთვიურად 60.000 კეროსინს მიაწოდებენ. კეროსინის განაწილების დროს რაიმე ბოროტების ასაცილებლად დანიშნული იქნება სარაიონო აგენტები.

◆ უმოქმედობისათვის. დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა რესპუბლიკის ერობათა საყურადღებოთ აცხადებს: არაა სასურველი იქნას მიღებული სამსახურში ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის სტატისტიკოსი მიხეილ კეზელი, რომელიც გამგეობის მიერ სრული უმოქმედობის და უუნარობის გამო იქმნა დათხოვნილი სამსახურიდან ა. წ. 28 აგვისტოდან.

მუშების ცხოვრება

ნახშირის დამზადება.

მუშათა მაგიდა შეეკითხა ქუთაისის ერობას თუ რა პირობებში დაამზადებს ის ნახშირს და შეშას.

ფქვილი.

მუშათა მაგიდა შეეკითხა სასურსათო განყოფილებას რამდენი ფქვილი და ხორბალი დარჩა პირველ სექტემბრისათვის.

ფასების მომატება.

მუშათა მაგიდამ მიმართა სასურსათო განყოფილებას განცხადებით, სადაც აღნიშნულია ბაზარზე სანოვაგეთა ფასების ზრდა. მუშათა მაგიდა ამის უმთავრეს მიზეზათ სთვლის ქალაქის აგენტთა უყურადღებობას და მუშათა მაგიდის კონტროლიორებისათვის ხელის შეუწყობლობას. მუშათა მაგიდა მოითხოვს სასურსათო განყოფილებისაგან შესცვალოს ახლანდელი აგენტები და ან დაავალოს მათ მიიღონ მკაცრი ზომები სპეკულიანტთა თარეშის ასალაგმავად.

ბ ა თ ო მ ი

გადასახადების სამმართველო ბათომში.

ბათუმიდან ტფილისში დაბრუნდა გადასახდთა ამკრებ სამმართველოს უფროსი ვირსალაძე, რომელიც იუწყება; ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ბათომში გადასახადთა ამკრები დაწესებულება გადაკეთდაო. ბათომის სავაჭრო ცენტრი, სადგური და ნავთსადგური ცალკე ხარჯთ-ამკრებ სამმართველოში შედიან ისე როგორც ბათომის ახლო-მახლო ადგილები. ოლქის და ართვინის 3 უბნისაგან შედგენილ იქმნა ცალკე სამმართველო. ახლად დანიშნული გადასახადთა ამკრები ინსპექტორები თავის მოვალეობის აღსრულებას უკვე შეუდგნენ. ვირსალაძე გაეცნო ბათომის ვაჭრობის და მრეწველობის საქმეებს და მისი აზრით დამატებითი სამრეწვლო გადასახადი განხორციელდება ოქტომბრის 1 და ეს გადასახადი მოგვცემს 200 მილ. მანეთამდიო.

უცხოეთის ვალიუტაზე სპეკულიაციასთან საბრძოლველად გამომუშავებულია სავალდებულო დადგენილების პროექტი. განძრახულია აკრძალონ სესხის მიცემა უცხო ვალიუტაზე ისე, როგორც მისი გადახდა უცხო ვალიუტაზე გადატანით. 2). აკრსალულია ნედლი მასალისა და საქონლის ღირებულების მიღება უცხოეთის ვალიუტით. 3) ყოველ გვარ ოპერაციის წარმოება უცხოეთის ვალიუტით. 4% ვალიუტის თავისუფლად გაყიდვა სწარმოებს მხოლოდ განსაზღვრულ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც ამისთვის მიღებული აქვთ განსაკუთრებული ნებართვა და სხვა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში აღიძრა საკითხი იმ დაწესებულებათა ერთ რაიონში თავის მოყრისა, რომლებიც მეცხენეობას აწარმოებენ და რომლებიც რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში არიან გაბნეულნი. ამის გამო მიწათ-მოქმედების მინისტრმა სამხედრო მინისტრს თხოვნით მიმართა დაუთმოს მას ამ მიზნით ნაწილი მანგლისის ყაზარმებისა.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა.

სახელმწიფო თეატრი.

საელმწიფო თეატრში ოპერის სეზონი გაიხსნება ენკენისთვის 30-ს. პირველად დაიდგმება ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“. მზადდება დასადგმელად ჭართულ ენაზე იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატი“. ამზადებენ აგრეთვე „დონ-ჟუანსაც“ მოცარტის ოპერას. ოპერა „ღალატისთვის“ იხატება ახალი დეკორაციები და მზადდება ახალა ტანსამკაული. ოპერის მმართველობა როგორც შარშან, წელსაც ჩაჰბარდება ევლახიშვილს, ხოლო სამხატვრო ნაწილს განაგებს სპეციალურად შემდგარი სამხატვრო კომისია, რომელშიაც შედიან: ივ. გომართელი, ალ. წუწუნავა, დ. არაყიშვილი, ნ. ჩერეპნინი, ზ. ფალიაშვილი და კ. ფოცხვერაშვილი. მიღებულია ზომები, რომ წელს გაცილებით უკეთესი ხორო და ორკესტრი იყოს. დასში ძველების გარდა (ქ-ნნი ალეშკო, ველ-ლევიცკაიას, სპიტკოს, ბ-ნ სარაჯიშვილს, ნანობაშვილს, საბინინის, ისეცკის) მოწვეულნი არიან ქ-ნნი ბოიარსკაია, პანინა, სპრიჟევსკაია. ამას გარდა განზრახულია ცნობილი ბასის მოწვევა სიბირიაკოვისა და იტალიიდან ერთი დრამატიულ ტენორისა. მხატვარ-დეკორატორად მოწვეულია მოსკოვის სამხატვრო თეატრის მხატვარი სიმოვი.

საქ. პრ. კავშირის ცესტრ. საბჭოში.

სექტემბრის 9. საქართ. პროფ. კავშირთა ცეცტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა, საბჭოს სეკრეტარიატისა და რკ. გზ. მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელთა შეერთებული სხდომა შესდგა. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. ევროპის სოც. დელეგაციის შეხვედრა, 2. რუსეთში წამსვლელ დელეგაციის დირექტივების შესახებ და 3 საქარ. დეპეშ. სააგენტოს საინფორმ. განყოფილების წინადადება, მუშათა წრეებისათვის ცნობების მიწოდების საქმის გაფართოვების შესახებ. ეს მით უფრო უნდა მოეწყოს, რომ გაზეთის გაძვირების გამო მუშებს შეძლება არ აქვთ შეიძინონ იგი. პირველი საკითხის შესახებ გადაწყდა ევროპიდან მოსულ სოც. დელეგაციის შესაფერ შესახვედრად ყოველივე ზომები მიიღონ.

გამოიტანეს აგრეთვე დადგენილება სტუმრების პატივსაცემად მუშების მოწყობის შესახებ, დაადგინეს აგრეთვე დაახლოებით გააცნონ დელეგაციას რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებისა, ტრამვაისა და არსენალის სახელოსნოების მუშაობა. გამოითქვა სურვილი რომ მუშათა ორგანიზაციის თავმჯდომარე თან წაყვეს დელეგაციას პროვინციაში. დელეგაციის შესახვედრ გეგმის დაახლოებითი დასამუშავებლად აირჩიეს საგანგებო კომისია, რომელშიც შედიან: სეკრეტარიატიდან ჩხენკელი, აღმს. კომიტეტიდან ხელაძე, და რკ. გზ. კავშირისაგან—ცენტერაძე. ამ კომისიამ ცენტრალურ კომისიასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ცხოვრებაში შეხვედრის გეგმის განხორციელებას. რუსეთში მიმავალ დელეგაციის დირექტივების მიცემის შესახებ მოხსენება გააკეთა ხელაძემ, გადაწყდა ენკენისთვის 12, მოიწვიონ პროფ. კავშ. აღმასრულებელი კომიტეტისა, ყველა კავშირების გამგეობისა და ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების შეერთებული კრება. ამ კრებაზე იქნება შემუშავებული ის დირექტივები რომელიც დელეგაციას გადაეცემა. და ბოლოს განხილულ იქნა საქართ. დეპ. სააგენტოს წანადადება, რომ ყველა რკ. გზის სადგურზე და იმ ადგილებში სადაც მუშები თავს იყრიან გამოკრულ იქნეს უკანასკნელი ცნობები. წინადადება მიღებულ იქნა და აღმასრულებელ ორგანოს ამ გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად სათანადო მოლაპარაკების წარმოება დაევალა.

სოფ. წინამძღვარიანთკარი

ილიას დაკრძალვა.

სექტემბის 7-ს სამარეს მიაბარეს ქართველი ერისთვის კარგად ცნობილი ილია წინამძღვრიშვილი. თანახმად, განსვენებულის ანდერძისა დაკრძალულ იქმნა ფერმის ზევით, ტყის ნაპირას. განსვენებულის ცხედარს ტფილისიდან მოყვა სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები; საგურამოში ძვირფას ცხედარს შეეგება ადგილობრივი გლეხობა და თავისი საყვარელი სკოლის მასწავლებლები და მოწაფენი. დაკრძალვის დღეს სიტყვები წარმოსთქვეს: დეკ. გ. ასათიანმა, მღ. ი. ლუკაშვილმა, დამფუძნებელი კრების წევრმა ის. რამიშვილმა, დამფუძ. კრების სახელით ივ. ტატიშვილმა, დუშეთის სამაზრო ერობის დავალებით დამფუძნებელი კრების წევრმა დ. ჩხეიძემ, წერა-კითხვის საზოგადოებისა და მასწავლებელთა კავშირის სახელით გ. ნაკაშიძემ, ადგილობრივ სკოლის მასწავლებელთა კორპორაციის სახელით მასწ. ლ. ძიძიგურმა, მიწად. მოქ. სამ. გ. ბერუკაშვილმა, მევენახეთა და მეღვინეთა საზ. სახელით ბ. ყაზარაშვილმა, ქ. ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარემ ბ-ნმა ტყემალაძემ, ი. იმედაშვილმა, ყოფილმა მოწაფეებმა და სხვებმა. ყველამ აღნიშნა განსვენებულის სპეტაკი პიროვნება, მისი დაუშრეტელი ენერგია, მისი ღვაწლი, თავდადება და უანგარო სამსახური ქართველთა კეთილდღეობისათვის. დაწვრილებით შეეხენ განსვენებულის მიერ დაარსებულ სკოლის ნაყოფიერებას, რომელიც მალამოდ მოევლინა ჩვენი სამეურნეო-საეკონომიო წყლულს და რომელსაც ორმოცი წლის განმავლობაში ჯეროვან სიმაღლეზე უჭირავს განათლებისა და სასოფლო მეურნეობის დარგში. როგორც დამსწრე ორატორებმა აღნიშნეს, განსვენებულს თურმე დიდი ბრძოლა დასჭირდა შავ-ბნელ რეაქციის ძალებთან, რომ სკოლა მკვიდრ და ეროვნულ ნიადაგზე დაეყენებია; მაგრამ რას არა სძლევს დიდი კაცის მებრძოლი და შეუპოვარი სულისკვეთება და თავდადება.

ილია წინამძღვრიშვილი მეტად დიდი და იშვიათი პიროვნება იყო ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში. თამამად შეიძლება ითქვას ჩვენ მოღვაწეთა შორის ისეთი პრაქტიკული, ნაყოფიერი, მიზანშეწონილი ნაბიჯი არც ერთს არ გადაუდგამს, და მიუხედავათ ამისა, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ის ჯეროვანი პატივისცემით არ დაკრძალულა, მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საზოგადოების უყურადღებობით არ უნდა ავხსნათ: ეს უნდა მივაწეროთ იმ გარემოებას, რომ დღევანდელ გართულებულ მომენტში ჩვენი მოწინავე საზოგადოება ჩაფლულია სახელმწიფოებრივ საზოგადო საქმეებში. მაგრამ ილიამ სიცოცხლეშივე თავისივე ხელით დაიდგა ქართველი ერის გულში უკვდავი, სამარადისო ძეგლი, რომელიც იარსებებს, სანამ ქართველი ერის ხსენება იქნება, ქართველი ერი კი მუდმივი და უკვდავია.

სკოლა.

საუკეთესო პატივისცემა ილია წინამძღვარიშვილის ხსოვნის ის იქნება, რომ მის მიერ დატოვებულ სკოლას, ისე მოუაროთ, ისე გაუწიოთ მამაშვილობა, ჭირისუფლება, როგორც განსვენებული უწევდა. ამ სკოლას იცნობს მთელი საქართველო, მან ბევრ ახალგაზრდას აუხილა თვალი, მან ბევრი მოღვაწენი მოგვცა სამეურნეო დარგში, ის მანანასავით მოევლინა ჩვენს ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობას; ამ სკოლას ახსოვს ოქროს ხანა, აქ უმოღვაწია ისეთ მასწავლებლებს, როგორიცაა ის. რამიშვილი, განსვენებული ლ. ბოცვაძე და სხვანი, მაგრამ ეს სკოლა იმ დროს ჰყვავოდა, ოქროს ხანას განიცდიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სკოლა ჩამოქვეითდა, შენობები დაზიანდა, ფერმაც უყურადღებოთ იყო მიტოვებული, ინვენტარი გაფუჭდა, მოწაფეთა რიცხვიც ძალზე შემცირდა და სხვა, მაგრამ ეს აიხსნება უმეტესად ომის მიერ გამოწვეულ პირობებით, უსახსროებით. დღეს ეს სკოლა მიწად-მოქმედების სამინისტროს ხელშია, ეს უწყება პატრონობს, და უნდა ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით სკოლას გაუმჯობესება ეტყობა: ფერმაც უკეთესად დამუშავებულია, სკოლის ეზოც შემოღობავთ, ინვენტარიც შეუძენიათ, სკოლაში სისუფთავეც მეტია; სჩანს სკოლის ეხლანდელ გამგეს დ. გორთომაშვილს შესწევს ენერგია, შესძლებია თაოსნობა.

ეს სკოლა დღეს უკვე 4—კლასიან სამეურნეო სასწავლებლად არის გადაკეთებული, მაგრამ ქალალდზე, გადაკეთება რას უშველის თუ არ შეიცვალა სკოლის სული, ამისათვის ყველა მასწავლებელმა ეხლავე უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ სკოლა მართლა უკეთესად შეიცვალოს; დღევანდელი მასწავლებელთა შემადგენლობა ამის სრულ იმედსაც გვაძლევს თუ მათში იქნება სოლიდარობა, შეთანხმებული და მიზანშეწონილი მუშაობა.

უყაირათობა.

სოფ. წინამძღვარიანთ კარში და მის ახლო მდებარე სოფლებში ისე არასოდეს არ ყოფილა გავრცელებული უყაირათობა, როგორც დღეს; დღე არ გაივლის ისე, რომ არავინ მოჰკლან, არავინ გაძარცვონ. ადგილობრივ მცხოვრებთ უკვირთ კიდეც, როცა რომელიმე საღამოს არ გაიგონებენ მკვლელობის ამბავს. ამ რაოდენიმე დღის წინათ ადგილობრივი სკოლის ორი მასწავლებელი ტყეში გაიტყუეს უყაირათობამ და ერთ მათგანს წაართვა 17-ათასი სკოლის ფული. ძალიან გავრცელებულია აგრეთვე ქალის მოტაცება: თუ რომელიმე ახალგაზრდას მოეწონა ქალი მაშუალი აღარ სჭირია, წამოავლებს ხელს და მიყავს ტყეში. ასეთი ამბები „ლეკობის დროს არ ყოფილაო“. ამბობენ აქაური მოხუცი გლეხები. ადგილობრივი ადმინისტრაცია? როგორ არა, იღებს ზომებს და ძალიან ენერგიულადაც; ამ მხრივ აღსანიშნავია სამაზრო კომისრის ბ. ანთელავას მოქმედება, რომელიც დაურიდებლად ფეხ და ფეხ სდევნის ყაჩაღთა ბრბოებს, მაგრამ რას გააწყობს მარტო მილიცია—ადმინისტრაცია, თუ მას ხალხი არ ამოუდგა გვერდში, თუ თვითონ ხალხმა არ მიიღო აქტიური მონაწილეობა ყაჩაღების მოსპობაში; ერთი რომ სდევნის და ხუთი ხელს აფარებს, რა გამოვა... საჭიროა მთელი ხალხი შეერთდეს ამ ნაძირალების წინააღმდეგ, რომლებიც მშვიდობიან მცხოვრებთა მყუდროებას არღვევენ. სასტიკად უნდა დაისაჯოს ყველა ის, ვინც ყაჩაღებს მფარველობს, ბინას აძლევს სახლში, თუ საჭმელს უზიდავს ტყეში... კმარა, ბოლო უნდა მოეღოს მათ სამარცხვინო საქციელს.

ილიას ჯვარი.

არის საგურამოს რაიონში ერთი წმინდა ადგილი, სახელდობრ სოფ. წიწამურაში, სადაც ბოროტმა ხელმა მადლიანი შუბლი გაუგმირა დიდ ილიას; ამ ადგილს „ილიას ჯვარს“ უძახიან, რადგანაც აქ აღმართული იყო შავი ჯვარი, სადაც გამვლელ გამომვლელები ქუდს იხდიდენ. ამ ჯვარზე იყო წარწერაც; მაგრამ სამ წელზე მეტია, რაც ჯვარი დალპა, გაფუჭდა და ეხლა მხოლოდ ჯვრის მაგიერ რაღაც ჯირკია. დაუდევრობა, თორემ ამდენხანს როგორ არ შეეძლო წერაკითხვის საზოგადოებას, რომ იქ, იმ წმინდა ადგილას ისეთი რამ საიმედო გაეკეთებინა, (ქვის, მარმარილოს ჯვარი) ან სხვა რამ, რომელიც უკვდავ ყოფდა ამ წმინდა ადგილს. ან თუ გინდ წინამძღვარიანთკარის სკოლის მასწავლებლებს არ შეეძლოთ ისეთივე უბრალო მუხის ჯვარი გაეკეთებინათ, როგორიც იყო? ეს ხომ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. იმედი გვაქვს, აწი მაინც გამოასწორებენ მასწავლებლები ამ დანაშაულს და წმინდა ადგილას აღმართავენ ჯვარს. წერაკითხვის საზოგადოებამ კი დროა იზრუნოს ილიას მკვლელობის ადგილას, რამე საიმედო და სამუდამო ემბლემა აღმართონ.

უწყლობა.

არა ნაკლებად არის შეწუხებული ხალხი უწყლოობით. ისე გაივლით რაოდენიმე ვერსის მანძილს, რომ წყალს ვერ შეხვდებით. იყო ერთი წყარო საგურამოს დიდ გზაზე, რომელსაც „ილიას წყაროს“ ეძახდნენ, მაგრამ დროზე ყურადღება არავინ მიაქცია და გაფუჭდა. მცხოვრებლები და მათ შორის სამეურნეო სკოლაც ხშირად მღვრიე მდინარეს წყლით კმაყოფილდებიან. ვისიც ჯერ არს წყლისთვისაც ეხლავე უნდა იზრუნონ. სკოლისთვის წყლის გამოყვანა ეს არც ისე ძნელი საქმეა, რადგანაც ახლოს ტყეში არის ძალიან კარგი წყალი, რომლის გამოყვანა მილებით სულ ადვილათ შეიძლება სკოლაში. ხსენებული წყლის გამოყვანა განსვენებულ ილია წინამღვარიშვილსაც უნდოდა მაგრამ ყველაფერი ვეღარ შესძლო ერთმა კაცმა.

გ ზ ე ბ ი.

გზები ეს ხომ ერთი საჭირბოროტო საკითხია ჩვენში ყველგან, მაგრამ აქ კი სულ უყურადღებოთ არის მიტოვებული; ერთ დროს დიდ გზაზე, რომელიც ტფილისიდან მიდის წინამძღვარიანთკარში თავისუფლად მიდიოდენ როგორც ეტლები, ისე ავტომობილები, მაგრამ დღეს ეს გზა გაფუჭებულია, რადგანაც მისი შეკეთებისთვის არავის უზრუნვია. განსვენებულ ილიას საპატივცემლოდ მოსულმა მგზავრებმა შუა გზაზე მიატოვეს ავტომობილები გზის უვარგისობის გამო. არ გვგონია, რომ ადგილობრივ თემს არ ესმოდეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ გზებს სოფლის კეთილდღეობისათვის. მაშ რატომ არ ბეგრავს გლეხებს, რატომ არ გამოყავს ხალხი გზების გასაკეთებლად? ამ საქმეს ყოყმანი და დაგვიანება ხომ ზიანს მიაყენებს?!

განმანი.

მ ი ლ ი ც ი ა შ ი

ორი თვის წინად დიანოზ გრიგოლის ძე ფურცხვანიძეს ბინიდან მოპარული საოჯახო სხვა და სხვა ნივთები სულ 80.000 მანეთის ღირებულობისა, სისხლის სამართლის მილიციის კვლევა-ძიების საშუალებით ყველა ქურდები აღმოჩენილ იქმნა. აღნიშნულ ფურცხვანაძის გამქურდველნი გამოტყდნენ თავიანთ დანაშაულობაში. ზოგიერთ მათგანს ნივთები გასასყიდათ სხვაგან წაეღო. ნივთების უკან დასაბრუნებლად და პატრონისთვის ჩასაბარებლად სისხლის სამართლის მილიციამ უკვე მიიღო სათანადო ზომები.

— მიხეილ სერგის ძე საფაროვმა, სემიონოვის ქუჩაზე № 13 მცხოვრებელმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მის ბინიდან მოიპარეს 300 ათას მანეთის მეტი საოჯახო ნივთები. სისხლის სამართლის მილიციამ გამოარკვია, რომ ქურდობა ჩაედინა ივანე გიორგის ძე მამიაშვილს, ისაკ ისიდორის ძე ლორთქიფანიძეს და ივანე ბასილის ძე ალამბერაშვილს, რომელნიც თავის ბოროტ-მოქმედებაში გამოტყდნენ. ნივთების უმრავლესობა სისხ. სამ. მილიციამ იპოვნა და პატრონს ჩააბარა. გამქურდველნი დაპატიმრებულნი არიან 1 საგუბერნიო ციხეში.

— სექტემბრის 6-ს ხაზებულაკს ბაბლიევმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ამ სამი თვის წინად რკინის გზის ვაგონში მის აბგიდან წაიღეს 170.000 მ. სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებულ ზომებით აღმოჩნდა რომ ამგვარ ქურდობის გამწევი ყოფილა ძმა მკერვალ რობაქიძისა, რომელსაც სამკერვალო ვერის დაღმართზე აქვს მოთავსებული. გაჩხრეკის შემდეგ ერთი ბრეზენტის აბგა აღმოჩნდა მიხეილ რობაქიძის ბინაზე, რომელშიაც ყველა ნივთები ბაბლიევისა შიგ ელაგა. დაჭერილი მიხეილ რობაქიძე ყოფილა მეშვიდე პოლკის მეოთხე ათასეულის ზემდეგი. საქმის გამოძიება სწარმოებს.

ნ ა რ ი ლ ი რ ე დ. მ ი ვ ა რ თ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ ამა თვის 4 № 200-ში მოთავსებული იყო ცნობა საკათოლიკოზო საბჭოს მიერ აღძრულ შუამდგომლობისა გამო დღესასწაულების შესახებ.

აღნიშნული ცნობა არ შეეფერება სიმართლეს: საკათოლიკოზო საბჭომ, თანახმად საეკლესიო მეორე კრების განჩინებისა, აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე არა დღესასწაულების გამრავლებისათვის, არამედ გან-

მარტების გაცემისათვის, რომ 1919 წ. გიორგობისთვის 29 დეკრეტი და კანონთა კრებულის 11 ტომ. 2 ნაწ. 142 და 156 მუხლები, რომელზედაც დამყარებულია ზემოაღნიშნული დეკრეტი, ეხება სამრეწველო (ფაფრიკა-ქარხნებს) დაწესებულებებს და არა სახელმწიფო (სასამართლოები, საადმინისტრაციო ორგანოები, სასწავლებლები), საზოგადოებრივ (ქალაქთა თვითმართველობა, ბანკები) და კერძო (მაღაზიები, კანტორები) დაწესებულებებს.

ამას კანცელარია დასძენს, რომ საკათოლიკოზო საბჭოს არავითარი პასუხი აღძრულ შუამდგომლობაზე არც სამინისტროსაგან და ართ მთავრობისაგან არ მიუღია.

სიმართლის აღსადგენად, საკათოლიკოზო საბჭოს კანცელარია პატივისცემით სთხოვს რედაქციას ეს წერილი მოათავსოს გაზეთის უახლობელესს ნომერში*).

საკათოლიკოზო საბჭო.

*) უქმე დღეების შესახებ ცნობა მოგვაწოდა „გრუტამ“.

რედ.

ბანცხადებანი

დაიკარგა ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოწმობა გიდრო მექანიკური ფაკულტეტის სტუდენტის ბარის ილიას ძე ფრიმურომანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2652 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა და წლიური რკინის გზის ბილეთი მთელი ოჯახობის, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და იარაღის ტარების ნებართვა, მიღებული სახალხო გვარდიის 1 რაიონის შტაბიდან შაქრო გიორგის ძე აკოლაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2653 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ავეტის გასპარის ძე სარქისიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2659 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 243 სედრაკ მიკირტიჩის ძე პუჩინიანცის სახელზე, მიღებული ქ. ბათომის მილიციის უფროსისგან. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2655 3—2

დაიკარგა მოწმობა № 871 რევოლვერის ტარების და პირადობის, მიღებული სამეგრელოს სახალხო გვარდიის საოლქო შტაბიდან ერმილე ლევანის ძე მატახერიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2644 3—3

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭო იწვევს თავის კამერაში ავტროპია. ივიე ეფროსინე, კოხტა ჯოჯუას ასულის კარტაზიასას მოისმინოს მისი და მისი ქმრის პლატონ მაქსიმეს ძის კარტოზიას ქორწინების გაყრის შესახებ დადგენილება დღიდან ამა განცხადების დაბეჭდვის ორი თვის განმავლობაში, ხოლო თუ იგი, ეფროსინე კარტოზია, უკმაყოფილო იქნა საბჭოს დადგენილებით, მას შეუძლია შემოიტანოს სათანადო პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს დადგენილება შევა ძალაში. 2484 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ იოსების ძე ტუმაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1913 წ. რეესტრით № 2560. გაუქმებულ დ ჩაითვალოს. 2646 3—3

დაიკარგა კვიტანცია № 6393553, მიღებული რუსეთის სატრანსპორტო და დამხმარე საზოგადოების მოსკოვის განყოფილებიდან ანტონ ილარიონის ძე ხეცურიანის სახელზე, რომლითაც გამოგზავნილი იყო ქუთაისში 4 ცალი ეტლის ბორბლები. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2640 3—3

აკრძალულობა, დადებული 1902 წ. იოსებ სამუილის ძე რუკსის კუთვნილ მამულზე, შეტანილის აკრძალულ მუხლების ნარკვევში (сборникъ) 1 ტფილისში 1902 წ. თანახმად ტეხნიკური სექციის განკარგულებისა ამა სექტემბრიდან გაუქმებულია. 2641 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 406 ივანე იაგორის ძე იარალოვის სახელზე, მიღებული სიღნაღის ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2632 3—3

„ცხუმ-აბხაზეთის საეპარქიო საბჭოში ბენიამენა ალექსის ძე ოსტროვიდოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ელისაბედ მიხეილის ასული უკვალოდ დაიკარგა 1914 წლიდან, რის გამო ბენიამენ ოსტროვიდოვი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგული ელისაბედ მიხეილის ასულის ოსტროვიდოვას მისამართი, ვალდებულია განუცხადონ საეპარქიო საბჭოს ზემოხ ენებული პირის შესახეა დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 2483 3—3

დაიკარგა პასპორტი № 420 სიმონ იაკოფის ძე ეფრემოვის სახელზე, მიღებული უკრაინის სახალხო რესპუბლიკის გენერალურ საკონსულოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2638 3—3

დაიკარგა მილიციონერობის მოწმობა სურათით სურქიას რუსტანის ძე სტეპანიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2637 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 880 მართა მიტროფანის ასული უდალოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2663 3—1

დაიკარგა ქუთაისის რეალური სასწავლებლის 1916 წ. დამთავრების ატესტატი და მოწმობა სამსონ პახომის ძე ასათიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2664 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან 11/V 1920 წ. № 4252 სიმონ სოლომონის ძე შპარბეძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2671 3—1

დაიკარგა ძველი ავეჯეულების ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ქალაქის გამგეობიდან პასპორტი, მიღებული ესპანელების საკონსულოდან ტფილისში და სხვა საჭირო საბუთები. მისაკ სედრაკის ძე ავაკიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2677 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი სვიმონ სვიმონის ძე ღვთისავრიშვილის სახელზე, მიღებული ახალციხის ხაზინიდან 1902 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 885 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი სტეფანე თომას ძე ტატალაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 574. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2666 3—1

დაიკარგა პასპორტი № 25 ბერი ათანასეს სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან და რკ. გზის დუბლიკატი ტფილის თელავის ცხოა ფუთ ბალანს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2667 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა მიღებული ტფილისის სათავად აზნაურო გიმნაზიიდან 1915 წ. ივანე იაკობის ძე მღებრიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2670 3—1

1918 წ. მარტის 26 ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ივანე როსტომის ძე მიქაძემ 2000 მან. მიჰყიდა მოქ. ვასილ გრიგოლის ძე კრიჭაშვილს მიწის ნაკერი ზომით $80^{375}/_{100}$ კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 7 უბ. ქალ. № 920. გადახდილია: საქტო 3 მ., განცხ 1 მ. 50 კ. გადასაწ. რი 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 100 მ. მთავარი ამონაწერი 12 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემული. 324

1918 წ. მარტის 27-ს ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პელაგია ილიას ასულმა სტეპუშინამ 23.000 მ. მიჰყიდა იაკიმ ეფიმის ძე გაგანიძეს მიწის ნაკერი, ზომით 59 ს. და 8 არშ. კვ მდებარე ქ. ტფილისის მეორე უბანში ფედოსიის ქ. № 573 გადახდილია; საქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწ. 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 920 მ. მთავარი ამონაწერი 115 ძ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 324

დაიკარგა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დამთავრების 1906 წ. ატესტატი და მოწმობა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ფედოროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს 2661 3—1

1918 წ. მარტის 5 ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილია და გიორგი ნიკოლოზის ძეთ, დავით, ლევან, ვლადიმერ და ნიკოლოზ ყაფლანის ძეთ ონანო ვაჩნაძეებმა და მარგარიტა ალექსანდრეს ასულმა ონანო ვაჩნაძემ 56 მ. 54 კ. მიჰყიდეს კახეთის რკ. გზის საზოგადოებას მიწის ნაკერი ზომით 1357 კვ. ს. მდებარე აგარაკ ჭალაუბანში, სილნაღის მაზრა ტფ. გუბ. გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწ. 60 კ. სამტკიცის 2 მ. 27 კ. მთავარი ამონაწერი 50 კ. ღირებულების საღერბო ქ ღალდზე მიცემულია. 327

1918 წ. მარტის 9-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. მიხეილ აბრამის ძე მადატოვმა 1900 მან. მიჰყიდა ბეგლარ ბაბას ძე ტერ-ოგანოვს მიწის ნაკერის ნახევარი შენობებით, ზომით 180 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-6 უბ. ქალ. № 828 გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწ. 1 მ. 20 კ. სიმტკიცის 76 მ. მთავარი ამონაწერი 9 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 327

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბრამ ალექსანდრეს ძე აბრამიანცის სახელზე, მიღებული ირკუცკის სამმართველოსგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2669 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 1196 მილიციონერ ალისტარ ივანეს ძე ერაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2660 3—1

ტფილ. ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. მინაი ისაის ძე ჩეგაროვმა 5000 მ. მიჰყიდა გიორგი ალექსანდრეს ძე გოლაძეს მიწის ნაკერი ზომით 107 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ. გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ. გადასაწ. 60 კ., სიმტკიცის 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 327

1918 წ. მარტის 15 ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ანდრია ნაზარის ძე რემიზოვმა 5000 მ. მიჰყიდა სიმონ ფილიპეს ძე გლაზოვს მიწის ნაკერი ზომით 100 კვ. ს. მდებარე საგაბაშვილო-თხინვალში ტფ. გუბ. და მაზრა. გადახდილია: საქტო 3 მ. განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 60 კ. სიმტკიცის 20 მ. მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 327

საქართველოს სახ. ზ. რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს

საყოველთაოდ, რომ ქვემოთ აღნიშნული ბარგი და უდოკუმენტო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 18 სექტემბერს და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა ძაშინ ხელ მეორედ ვაჭრობა მოხდება სექტემბრის 20-ს.

ბარგი ტფილისიდან—შულავერში № 115944 რიგ. № 245—1 ფ. 15 გირ.; ფოთი—ახალსენაკი № 261313 რიგ. 242—15 გ.; ტფილისი—ახალ-სენაკი № 109231 რიგ. № 242 1 ფ., ბათუმიდან—ახალ სენაკში № 34116—1 ფ. 25 გ.; ბათუმიდან ახალ სენ. № 62055 რიგ. № 242—2 ფ., ფოთიდა № 88395 ახალ სენაკში რიგ. № 242—30 გირ., ფოთიდან № 88733 ახალ სენაკში რიგ. № 242—25 გირ.; ფოთიდან № 88218 ახალ სენაკი რიგ. № 242 3 ფ. 5 გ.; ტფილისიდან № 170128 რიგ. № 247 სალოღლი—6 ფ. 20 გ.; რევლიდან № 11619 ტფილისი რიგ. № 210—10 ფ.; ასტრახანიდან № 35650—ბათუმი რიგი. № 211—1 ფ. 17 გ.; რეჟიციდან № 906—ბრიანსკი რიგ. № 212—25 გირ.; სუფსიდან № 5424 ბორჯომი რიგ. № 203—18 გ.; ტფილისიდან № 114337 ბორჯომი 35 გ.; ფოთიდან № 87792 ბორჯომი 1 ფ.; ზესტაფონიდან № 61774 ბორჯომი რიგ. № 239—1 ფ. 30 გ.; ტფილისიდან № 1140—ბორჯომი რიგ. № 230—25 გ.; წაღვერიდან № 11687—ბორჯომი რიგი № 230—30 გ.; ქარელიდან № 23727—ბორჯომი რიგ. № 230—2 ფ. 5გ.; ქუთაისიდან № 51559—ბორჯომი რიგ. № 234 1 ფ. 35 გ.; ქობულეთიდან № 24029—ბორჯომი რიგ. № 235—4 ფ.; ქობულეთიდან № 24030 ბორჯომი რიგ. 235—4 ფ.; სურამიდან № 18937—საჩხერი რიგ. № 206—5 ფ. 32 გირ.; ბათუმიდან № 29911 ნიგოითი რიგ. № 187—3 ფ.; რიონი № 9482 ჯუმათი რიგ. № 204 1 ფ. 20 გირ.; ტფილისიდან № 109124 ნოტანები რიგ. № 219 8 ფ. 20 გირ.; ქუთაისიდან № 7949 ნოტანები რიგ. № 225—2 ფ. 15 გ.; ფოთიდან №88899. ნატანებიდან რიგ № 223 2 ფ. 15 გირვანჭაბორჯომიდან № 9286 ნოტანები რიგ. № 199—2 ფ. 20 გ.; ქუთაისიდან № 482280 ნოტანები რიგ. № 198—1 ფ. 20 გ.; ბათუმიდან № 2398 ნოტანები რიგ. № 195—15 გ.; ტფილისიდან № 103111 ნოტანები რიგ. № 192—5 ფუთი 25 გ.; ბორჯომიდან № 58957 ნოტანები რიგ. № 190—2 ფ. 10 გ.

უსაბუთო: აქტი სად. ნოტანების № 114 რიგ. 243 მაგიდა ფიცრის 1 ფ. 20 გირ.; აქტი სად. ფოთის № 22204 რიგ. № 30 ძველი საქმეების ჭაღალდები 50 ფ.; აქტი სად. ფოთის № 1232 რიგ. № 184 ხის ჯორკოები რიგ. 190 ფ.; ჭალადიდიდან № 9057 რიგ. № 146 სხვა და სხვა ნაწილი რკინეულობისა 48 ფ.; აქტი სად. ნოტანების № 110 რიგ. № 228 პალატკა 76 ფ., აქტი სად. ნოტანების № 275 რიგ. № 488 იზოლიატორი 29 ფ. 35 გ.; აქტი სად. ბორჯომის № 31 რიგ. № 236 ნაპოვნი საქონელი 35 გ.; აქტი სად. ხაშურის № 348 რიგ. № 244 ცარიელი ყუთები 6 ფ.; აქტი სად. ტფილისის № 2089 რიგ. № 226 სიმინდი 5 ფ. 35 გ.; აქტი სად. სანაინის № 125 რიგ. № 238 ქერი 2 ფ. 30 გ.; აქტი სად. ტფილისის № 2179 რიგ. № 231 ცარიელი ტომრები 3 ფ. 5 გ.; აქტი სად. ბორჯომის № 79 რიგ. № 185 სხვა და სხვა 51 ფ. 34 გ.; აქტი სად. სამტრედიის № 157 რიგ. ჯ 227 სხვა და სხვა 44 ფ. 15 გ.; აქტი სად. ნატანების № 109 რიგ. № 224 მავთული 3 ფ. 10 გ.; აქტი სად. ნატანების № 102 რიგ. № 201 ხის რეიკები 50 ფ. 20 გ.; აქტი სადგ. ნატანების № 102 რიგ. № 196 სხვა და სხვა 201 ფ.; აქტი სად. ნატანების № 98 რიგ. № 191 ღვინო 11 ფ.; აქტი სადგ. ნატანების № 91 რიგ. № 189 სახლის ავეჯი 1 ფ. 20 გ.; აქტი სად. ბათუმის № 106 რიგ. № 221 ნავი 52 ფ.; აქტი სად. ბათუმის № 117 რიგ. № 220 ქვის დასამტვრევი 500 ფ.; აქტი სად. რიონის № 1029 რიგ. № 116 გალიები 98 ფ., აქტი სად. ბათუმის № 101 რიგ. № 117 სხვა და სხვა 100 ფ.; აქტი სად. ბათუმის № 154 რიგ. № 117 სხვა და სხვა 310 ფუთი; აქტი სად. ტფილისის № 2369 რიგ. № 567 ფიცრები 35 ფ.; აქტი სად. ტფილისის № 2713 რიგ. № 641 წიგნები 11 ფ.; აქტი სად. სანაინის № 11038 ღუმელი რიგ. № 110—10 ფუთი 30 გირ.

883 3—1

„პოლონელთა საშველის სახელოსნოს“ ამხ. სალიკვიდაციო კომისია

იწვევს ამხანაგობის მეპაიეებს საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია შაბათს, სექტემბრის 11-ს საღამოს 7 ს. ტ. ი. ვალაცის კანტორაში (ბარიატინის ბანდი № 3) სალიკვიდაციო კომისიის ანგარიშის დასამტკიცებლად და ამხანაგობის საქმეების სალიკვიდაციოთ. კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. ამის შემდეგ შემოსული პრეტენზიები უყურადღებოთ იქნება დარჩენილი.

26751—1 სალიკვიდაციო კომისია.

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.